« ქართველი ლუმიერები » : ფრანგული ინსტიტუტის დოკუმენტური ფილმების ჯილდო

***

კონკურსი

საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის დოკუმენტური ფილმებს ჯილდოს მიზანია ქართული დოკუმენტური შემოქმედების მხარდაჭერა და საქართველოს თანამედროვე რეალობაზე მიმართული ხედვების წარმოჩენა.

ამ პრიზით დაჯილდოვდება ორი დოკუმენტური ნამუშევარი, რომელიც გადაღებულია, ან ამჟამად გადაღების/მონტაჟის პროცესშია საქართველოში, ქართველი რეჟისორის მიერ.

ჯილდოები :

ჟიურის გადაწყვეტილებით, ჯილდოები განაწილდება ორ პროექტს შორის.

მათი გადაცემის პირობებთან დაკავშირებული დეტალები განიხილება ინდივიდუალურად. დამატებითი ინფორმაციისთვის, შეკითხვების გამოგზავნა შეგიძლიათ ელ-ფოსტაზე lumieresgeorgiennes@institutfrancais.ge

ჟიურის შემადგენლობა :

ჟიური შემადგენლობაში შედიან :

- ოლივიე კურტო, საფრანგეთის ელჩი საქართველოში, ჟიურის თავმჯდომარე
- სალომე გეორგიევი, საქართველოში საფრანგეთის საელჩოს მრჩეველი თანამშრომლობისა და კულტურის საკითხებში და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი
- აუდიოვიზუალური სფეროს ორი ქართველი პროფესიონალი.

კალენდარი :

სრულყოფილი საკონკურსო განაცხადების გაგზავნის ბოლო ვადაა 2026 წლის 30 ოქტომბერი.
საბუთები უნდა გაიგზავნოს PDF ფორმატში შემდეგ მისამართზე:
lumieresgeorgiennes@institutfrancais.ge
ფინალურ ეტაპზე გადასულ კანდიდატებს ამის შესახებ ნოემბრის თვეში ეცნობებათ.
ჟიურის გასაუბრება კანდიდატებთან 2026 წლის 20 ნოემბრიდან დაიწყება.
ჯილდოები გადაეცემა ორ შერჩეულ ლაურეატს დეკემბრის თვეში.

კონკურსის რეგლამენტი

მუხლი 1 – მიზანი

საქართველოს ფრანგულ ინსტიტუტს სურს დააჯილდოოს დოკუმენტური კინოს ქართველი რეჟისორები, რომელთა ნამუშევრების საერთო ხანგრძლივობაა 52-დან 90 წთ-მდე.

ამ პრიზის ფარგლებში, რომლის სახელწოდებაა „ქართველი ლუმიერები“, დაწესებული ორი ჯილდოს გადაცემა მოხდება წინამდებარე დებულებით განსაზღვრული პირობებისა და წესების შესაბამისად.

მუხლი 2 - მონაწილეობის მსურველი კანდიდატები

საკონკურსო პირობები შემდეგია:

- კონკურსში მონაწილეობით, კანდიდატები იღებენ ვალდებულებას, გადაიღონ მათ მიერ წარდგენილი ფილმი, თუ ის ჯერ არ არის დასრულებული.
- კანდიდატები უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები და ცხოვრობდნენ საქართველოში. მათ უნდა შეეძლოთ საკუთარი პროექტის წარდგენა წერილობით და ზეპირად, ფრანგულ ან ინგლისურ ენაზე.
- კანდიდატების წლოვანება უნდა იყოს 18 წელზე ზემოთ.
- კანდიდატებს შეუძლიათ მხოლოდ ერთი პროექტის წარდგენა. თითოეული პროექტი წარდგენილი უნდა იყოს ინდივიდუალურად.

მუხლი 3 – დოკუმენტური პროექტები/ნამუშევრები

საკონსკურსო დოკუმენტური ნამუშევრები შეიძლება იყოს უკვე დასრულებული, ისე წარმოების პროცესში არსებული დოკუმენტური ფილმები. დასრულებული ნამუშევრის შემთხვევაში, მისი შექმნიდან ორი წელზე მეტი არ უნდა იყოს გასული. დოკუმენტური ფილმები შეიძლება დამზადებული იყოს ნებისმიერ ფორმატში და განკუთვნილი იყოს კინოთეატრებში, ფესტივალებზე, ტელევიზიით ან ციფრულ პლატფორმებზე საჩვენებლად.

ამ ჯილდოს საშუალებით, საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის მიზანია, ახალი მხატვრული მიდგომების წახალისება, რომლებიც ხელს უწყობს თანამედროვე ქართული საზოგადოების უკეთ გაგებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ნამუშევრებს, რომლებიც სოციალურ, გარემოსდაცვით, კულტურულ ან სამოქალაქო საკითხებს ეხება.

კანდიდატებმა უნდა წარადგინონ ერთსერიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი ან დოკუმენტური ფილმების სერია, რომლის საერთო ხანგრძლივობა იქნება 52-დან მაქსიმუმ 90 წუთამდე.

დოკუმენტური სერიალის შემთხვევაში, მას უნდა ჰქონდეს ერთიანი სიუჟეტური ხაზი, რაც გულისხმობს, რომ თხრობა უწყვეტად უნდა გრძელდებოდეს ყველა ეპიზოდში.

მუხლი 4 - სააპლიკაციო დოსიეს შემადგენლობა

პროექტი წარდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ფოსტით, სააპლიკაციო დოსიეს სახით, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს PDF ფორმატში:

- თითოეული კანდიდატის Curriculum vitæ (განათლება და გამოცდილება);
- თითოეული კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (ID ბარათის შემთხვევაში — ორივე მხარე) ფოტოასლი;
- სამოტივაციო წერილი, სადაც განმარტებულია კონკურსში მონაწილეობის მიზეზები;
- მაქსიმუმ რვაგვერდიანი განმარტებითი ბარათი, რომელიც დეტალურად აღწერს პროექტს და უნდა შეესაბამებოდეს დოკუმენტური კინოწარმოების სფეროში მოქმედ პრაქტიკას:

    - უკვე დასრულებული დოკუმენტური ფილმების შემთხვევაში, განმარტებით ბარათში წარმოდგენილი უნდა იყოს ხუთაბზაციანი სინოფსისი, ავტორის მოტივაცია მოცემული თემის არჩევისას და მისი აქტუალობა.
    - წარმოების პროცესში მყოფი ნამუშევრებისთვის: სააპლიკაციო დოსიეს უნდა დაერთოს რეჟისორის ხედვა და სინოფსისი. ბარათში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული განვითარების რა ეტაპზეა პროექტი და, საჭიროების შემთხვევაში, თან უნდა ახლდეს ფილმის ნაწყვეტების ან თრეილერის ბმული.

- წარდგენილი დოკუმენტური ნამუშევრის დაფინანსების გეგმა;
- თუ დოკუმენტური ფილმი უკვე დასრულებულია: ნამუშევრის ასლი ციფრული ფაილის სახით ან ფილმის ონლაინ სანახავი ბმული.

მუხლი 5 – კონკურსის ორგანიზება

კონკურსში მონაწილეობა უფასოა.

სრულყოფილი საკონკურსო განაცხადი კანდიდატმა უნდა გაგზავნოს ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: lumieresgeorgiennes@institutfrancais.ge

ლაურეატების შერჩევა მოხდება ხუთი კანდიდატის წინასწარი შერჩევის საფუძველზე, მას შემდეგ რაც ჟიური სრულად გაეცნობა ყველა წარდგენილ განაცხადს.

ეს ხუთი წინასწარ შერჩეული კანდიდატი მოწვეული იქნება ჟიურის წინაშე საკუთარი პროექტის პრეზენტაციისთვის. ისინი მოწვევას მიიღებენ ფოსტით ან ელ-ფოსტით, თბილისში გასამართი პრეზენტაციის თარიღამდე არაუგვიანეს რვა დღით ადრე. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატები არ გამოცხადდებიან, ისინი გამოეთიშებიან კონკურსს. ჟიურის წინაშე გამოსვლის ხანგრძლივობა იქნება 30 წუთი.

წინასწარ შერჩეული კანდიდატების მოსმენის შემდეგ, გამოვლინდებიან ლაურეატები და განისაზღვრება მათთვის გადასაცემი პრიზების ოდენობა.

მუხლი 6 – ჟიური

ჟიური დაკომპლექტებულია საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის, საქართველოში საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლებისა და ქართული სახელოვნებო სფეროს ორი წარმომადგენლისგან. ჟიური დამოუკიდებლად, ხმათა უმრავლესობით იღებს

გადაწყვეტილებებს, მსჯელობის შემდეგ. საჭიროების შემთხვევაში, ჟიურის თავმჯდომარის — საქართველოში საფრანგეთის ელჩის ხმას ორმაგი ძალა აქვს.

ჟიურის გადაწყვეტილება არ საჩივრდება. ჟიურის შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება პრიზების გაუცემლობის შესახებ, თუ ჩათვლის, რომ წარდგენილი პროექტები არ შეესაბამება დაჯილდოების კრიტერიუმებს. ერთ-ერთი გამარჯვებული კანდიდატის მიერ მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში, ჟიური იტოვებს უფლებას, ლაურეატის სტატუსი სხვა კანდიდატს მიანიჭოს.

მუხლი 7 – პასუხისმგებლობა

საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი პირდაპირ იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს და ნებისმიერი მიზეზით გააუქმოს წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული ჯილდოს ან ჯილდოების გაცემა და არცერთ კანდიდატს არ ექნება ამასთან დაკავშირებით რაიმე კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.